

**საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო
სკოლების X-XII კლასის მოსწავლეებისთვის**

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2021 წლის 15 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით პერიოდში საჯარო სკოლებში საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განახორციელა, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობას.

აღნიშნულმა პროექტმა 64 მუნიციპალიტეტში განლაგებული 244 საჯარო სკოლა მოიცვა. პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ ორი ფორმით განხორციელდა:

ü 204 საჯარო სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი წარმართებოდა საკლასო ოთახებში, კურსი ადგილზე, პირისპირ ტრენინგების ფორმით ჩატარდა;

ü 40 საჯარო სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი დისტანციურად მიმდინარეობდა, მოსწავლეებმა ტრენინგები ონლაინ ფორმით გაიარეს.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის კონცეფციის შესაბამისად, საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები შეისწავლეს, როგორცაა: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა; დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები; გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესში; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნების ორგანიზებისა და მართვის პროცესში (მათ შორის, ამომრჩეველებისთვის შეთავაზებული თანამედროვე საარჩევნო სერვისები); ამომრჩევლის როლის მნიშვნელობა დემოკრატიულ არჩევნებში; არჩევნებში ჩართული მხარეების უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში და მათი საქმიანობის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად; პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემა და დათვლა (საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს გამოცდილების გაზიარება).

საჯარო სკოლებში მიმდინარე პრაქტიკული სწავლების ფორმატში ჩატარდა იმიტირებული არჩევნები, რომლის შედეგად მოსწავლეებმა სხვადასხვა პერიოდში ცესკოს მიერ პოპულარიზებული სლოგანები აირჩიეს. გამარჯვებულად გამოვლინდა სლოგანი „შენი არჩევანი კანონია“. პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების ჩართულობით დებატებიც მოეწყო, რაც დებატების კულტურის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზანად.

2021 წელს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო სკოლების XI-XII კლასის 4 130-მა მოსწავლემ გაიარა, რომლებსაც შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

დამატებითი ინფორმაცია იხ.: <http://electionreforms.ge/geo/list/show/3084-sadjaro-skolebshi-sainformatsio-sastsavlo-kursis-archevnebi-da-akhlgazrda-amomrcheveli-gankhortsieleba-daitsko>

<http://electionreforms.ge/geo/list/show/3091-sainformatsio-sastsavlo-kursi-archevnebi-da-akhlgazrda-amomrcheveli-2021>